საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4117/01
21/04/2022

4117-01-2-202204211447

შპს „კონსტრაქშენ სოლუშენსს“
მის: ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, გრიგოლ სურამელის №1ა

ელ.ფოსტა: Info@construct.solutions

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №6566 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაბა სურამის მიმდებარედ, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის №84-8422096137 წერილის თანახმად, „ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის გენერალური გეგმისა და დაბის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აპრილის №7 დადგენილების შესაბამისად, სურამის ტბის მიმდებარე ტერიტორიები და მათ შორის, სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 64.08.68.327) შედის 25-ე გდგ არეალში და წარმოადგენს საკურორტო-სარეკრეაციო ზონას (შზ-4). საკურორტო-სარეკრეაციო ზონა არის შერეული ზონის ქვეზონა, რომელიც ემსახურება დასასვენებელი ან/და სამკურნალო დანიშნულების შენობა-ნაგებობის ფუნქციონირებას. აღნიშნულ ქვეზონაში **ნებადართული სახეობებია: სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო დროებითი შენობა-ნაგებობა; ღია სასპორტო ობიექტი; სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა; ტურისტული ობიექტი; სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების დაწესებულება.** ამასთანავე, გამონაკლისი წესით, შეიძლება **ასევე დასაშვები იყოს კვების ობიექტები და სასპორტო ობიექტები.** აღნიშნულიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მითითებული საკითხის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებამდე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს სკრინინგის გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე